

# საქართველო ოკუპაციი

სერათი 1916 წელი

გაცემის № 443

დამატების № 79

პირა, 29 ნოემბერი 1915 წ.



ზოთა.



აკაკი.



ვაჟა - ვაჟა ვალა.

## თვალი ერამი

მე მიყვარს თვალი იღნავ ელამნი  
მზის ღიმილივით ცრემლ-ჩარეული,  
ხან მშვიდი — როგორც ჭკვიანი სეფდა, ქართველი ადგენი ჩარეული.  
ხან ალერსივით აჩქარეული.

მინახავს თვალი — კი არ მინახავს  
მათ შორის ბევრი კიდეც მიყვარდა —  
მინახავს თვალი თუ ვნების ცეცხლით

როგორ აიწვა და ანარნარდა;  
მინახავს შავნი, ლურჯნი, ჭროლანი,  
სხვა და სხვა ჯურის, სხვა და სხვა ფერის,  
ბევრეულისთვის ქებაც მიძღვნია  
ჩემებურათა, როგორც შემფერის,  
მაგრამ... ო, თვალნო, თვალნო ელამნო,  
გიხილეთ თქვენ და... გიხილეთ თქვენ და —  
გულში აშენდა ტრფობა უკვდავი,  
ტრფობა უკვდავი გულში აშენდა.

\*  
მოვკვდები. დიახ. და მხოლოდ მაშინ  
ჩემი დანახვა ბევრს მოუნდება,

# კუსების ასპარეზი

(საქუთარ კორესპონდენციალი)



შავთულებიან ხლართს აკეთებენ სანგრების წინ.

სანგარი — საფარი.

მოვლენ, დაპლორიან ცრემლს უკანასკნელს,  
მრავალი თვალი აუზუნდება.  
დაიტირებენ უბედო ბედას,  
დაპგმობენ სასტიკ საწუთოებას,  
დაიტირებენ ჩემს სიჭაბუკეს  
და ჩემს უმანკო უმანკოებას;  
მაგრამ გაჰყვება დღეს დღე, წელს წელი,  
წარვლიან დრონი, წარვლიან უამნი

და სულ სხვა გვარად დამიტირებენ  
თვალნი ელამნი... თვალნი ელამნი...

მე მიყვარს თვალნი ოდნავ ელამნი,  
ბუნებასავით ღვთივ-დიდებული:  
ხან ჩეარი როგორც ჩვენი სიცოცხლე,  
ხან სიკვდილივით დამშვიდებული.

ი. გრიშაშვილი.

## ხუმრობა

შხამიან ისრით დამიჭრეს გული, ლამაზ სიტყვებით კი მიურნავენ,  
მომკლეს და ისევ ჰსურთ აღმადგინონ, თუ აღმადგინეს — ისევ მომკლავენ! —  
ბედი დამცინის დასაჯაბანავად, ადამიანი კი მეხუმრება,  
საქმეს გამიხდის დასატირებელს, დასატირებლად კვლავ მესტუმრება...  
და ხუმრობაა მთელი სიცოცხლე, ჩვენ ლანდები ვართ ამ ხუმრობისა,  
და მისოვის ორი მოედანი გვაქვს — ერთი სიცრულის, ერთი მტრობისა,—  
იქ ვეხუმრებით ლანდები ლანდებს, — ვეთამაშებით ტრფობის ხუნდებით,  
მოვკლავთ და საფლავს ცრემლით გაუთხრით, სახლში კი ღიმით გამოვბრუნდებით!..

ნეტავ ვიცოდე, ჩვენი ხუმრობა — სამარეშიაც თან ჩამოგვყება,  
თუ აქ დარჩება ჩვენს დასაცინად — და ჩვენს ცივ ლოდებს გაეხუმრება?! —

ს. ფაშალიშვილი.

## გასტავი, დაკოუკა

მოთხოვთა მატილდა სერაონი \*)

იმ დროს, დედა რომ დამშვიდებული უკეცავდა პატარა პერან-  
გის კალთის ნაპირს, მარიო ხალიჩაშვილი იჯდა წითელ და ლურჯ ქა-  
ლალდიდან ჯარის-კაცებსა სჭრიდა, უცებ შემოალო კარი ახალგაზ-  
და მამამ.

— აბა, ჩეარა, მარიო, ჩემო ბიჭუნია! დედამ ჩაგაცეს  
და სასეირნოდ წამომყე.

დედამ ოდნავ შეიკრა წარბი, ალაგიდან არ დაძრულა. მარიო  
წამოხტა, შემოეხვია მამას ფეხებზე და ჭიდილი დაუშეკო.

— მამა, მამიკო, გენაცვალე! ტიტიკებდა ის, იცინოდა და  
პატარა გველივით იქლავნებოდა.

— თექლე, გვიანდება, ჩაცვი დროზე, — მიუბრუნდა ცოლს  
ქმარი.

\*) მატილდა სერაო — იტალიური მწერალი ქალია.

— რა, მართლა მიგყავს თუ? — გაკეირვებული ჰეითხა თექლემ.  
— გაიგონე! სულ ორი საათი მაქვს თავისუფალი, ხომ იცი  
ბავშვს ჯერ ჩემთან არ უსეირნია.

ფინჩიოზე რომ წაიყვანო, გაიყინება.

— ფინჩიოზე რა გვინდა. შენთვის ხომ სულ ერთია, ჩემო ბი-  
ჭიკო, ფინჩიო იქმნება თუ სხვა რამ, უთხრა მამამ მარიოს.

— სულ ერთია, მამილო, ოლონდ დედამ აბრეშუმის ტანისა-  
მოსი ჩამაცეს და შენ კი წამყვანე თანა და!

— ფრათი-დი-კასთელოშიც ეგრილება, შენიშნა თეკლემ.

— არც ფრათი-დი-კასთელოშიც წავალო ეი! არ გინდა ჩემ-  
თან წამოვიდეს? იქმნება გშურს, ჰა?

— ჰმ, უგდე ყური, გშურსო, იწყინა თეკლემ და მხრები შე-  
შეუშვნა.

თექლე ნელა წამოდგა მარიოსთვის ჩაეცმია. მიდი-მოდიოდა  
წინ და უკან, აღებდა კარადებს, უჯრებს, მაგრამ გერა პოულობდა  
იმას, რასაც ეძებდა. მარიო საწოლზე იჯდა პერანგის ამარა, ფეხებს

# როგორ აგროვებენ ინგლისში ჯარის-ქაცებს

რუსეთი გამოკარლია პლაკატები ასეთი სურათებით და ფართოებით



ამ სურათს წარწერა აქვა:

შენ საჭირო ხარ ინგლისისათვის ეხლავე.

იქნევდა, უცდიდა წინდებს, ცელქმბდა, სიცილ-კისკისით კოტრიალობდა, ჰეოცნიდა მმას, არ ეშევბოდა. ისიც იცინოდა, მარიოს ეხემრებოდა. რამდენიმეჯერ, წინდებს რომ უწევდა კანჭებზე, ფეხ-საცმელს, ტანისამოსს რომ უკრავდა, დედა რამდენიმეჯერ დაიხარა მარიოს ყურთან, თითქოს უნდოდა რაღაცა ეთქვა ჩუმალ, მაგრამ ვერა ჰქედავდა, რადგან მამა ბავშვს ერთს წუთს ათა შორდებოდა, ელოდა, ილიმებოდა. ლილების გრძელი რიგი თეკლებ აპრია, გახსნა, ხელ-მეორედ დაუწყო შექრა. მარიო იწევდა, ვეღარ ითმენდა სიხარულითა, კანკალებდა. მამა ქუდი დაიხურა, მშად იყო, დედას კი ბავშვისთვის ცხვირსახოცი ვერ ეპონა.

— კარგი, ქალო, თუ დასჭირდება მე მივცემ ჩემს ცხვირსახოცი.

- რად მინდა ცხვირსახოცი, მამილო!
- სათამაშოს ნურას უყიდი, წასჩურჩულა ცოლმა.
- არა, არ ვუყიდი, ჯავრი ნუ გაქვს.
- დედა დიდხანს ჩაეკონა მარიოს შუბლში, თითქოს უნდოდა ამით რაღაცა ეთქვა. ქმარს-შვილს გამოჰყავ კიბეზე და თვალს აყოლებდა, ვიდრე ისინი მხიარული ტრიტიკო ძირს ჩადიოდნენ.
- მარიო, მარიო! — დაუძიხა დედამ ბიჭიოს.
- რა, დედა, რა იყო?
- მოიცა, მოიცა, რა გიოხრა!
- მანდედან მითხარი, დედიკო, მანდედან!..
- თუ გცივა, წამოსასხამი წაილე.
- არა მცივა, დედილო, არა. მშვიდობით.

\*

კარავის შესავალში, სადაც ნიანგებს და ვეფხვებს აჩვენებდნენ, მარიო შეშინდა, გულისყრი დაეკარგა. შეშინებული, გაფაციცებული შეპყურებდა მამას, მ-გრამ აღგილიდან არ იძეროდა.



ჰალეს უნივერსიტეტის სტუდენტი ალექსანდრე სვანიძე  
(დატყვევებული).

- ნიანგები დიდია, მამილო?
- დიდია, ჩემო პატარა შშიშრავ.
- სქელებია, ჩენ მზარეულ ნანოსავით?
- არა, უფრო გრძელებია და უფრო გამხდარი.
- წავიდეთ, მამა, ისევა სჯობს. მერმე მომიყე ნიანგებზე. ამ ფულით ის სჯობს სათამაშო რამე მიყიდე!
- არა, გენაცელე, სათამაშოები ისედაც ბეჭრი გაქვს.
- ი, რას ამბობ, მამილო! რომ იცოდე სანდრის რამდენი სათამაშო აქვს, მერე როგორი უბრალო და ლამაზი! შიგ „მაშინები“



უფროხი ექიმი ყარამან ფალავა  
(ტყვევა წაყვანილი).



ბიქენტი აბრამია  
(მოკლული).



პოდპორ. მირონ ჩხერია  
(დაჭრილი).

აქვთ! რკინის გზა აქვს, სამი ოთახით. ოთახებში მგზავრებია, ორთქლ-შავალში კი ისეთი შავი, შავი მემანქანება! ისიცა აქვს, აი ცხენობა-ნას რომა თამაშობენ. გარშემო დაბრივი ცხენები. რასაკერძელია ზედ კაცები სხედან. იმასაც „მაშინა“ აქვს, მომართავენ ხოლმე. მა-შილო, პატარა რომ იყვინ, შენცა გქონდა სათამაშოები?

- ცოტა.
- მერე, გიუობდი?
- ვგიუობდი შენზე ნაკლებ.
- მერე არა გცემლენ ხოლმე?
- მცემდნენ ხოლმე, გნაცვალე, მცემდნენ ხოლმე.
- გეტენებოდა ხოლმე?
- ხანდასხან, მარიო.
- იცი, მამილო, დედა რომა მცემს ხოლმე, მე არას დროს არა მტკივა. ვყვირი ხოლმე, ვლრიალებ, მაგრამ მართლა კი არა, ისე. ეხლა გვიან-გვიან მიჯავრდება ხოლმე.
- გიუვარს დედა, ჯენაცვალე?
- მიყვარს, მაგრამ შენ უფრო ძლიერ მიყვარხარ.
- სუ, როდი გარგა მაგრე ლაპარაკი. აბა რად გიყვარვარ მე უფრო?

— იმიტომ, მამილო, რომ შენ მხოლოდ სადილის დროსა გხე-დავ. დედას კი მუდამა გხედავ. აი, თუ სათამაშოებს მიყიდი, ვიტ-ყვი — ორივენი ერთნაირად მიყვარხართ მეტეი.

— ი, საძაგლი, მატყუილა!.. მაგრამ ესა სჯობია მითხრა — არ გინდა ზანქერთან ნაყინვი გაჭამო?

— კი, მინდა, მინდა, მამა! აი ისეთი წითელი რომ არის. ნელ-ნელა შესპამა ნაყინვი, „რომ უფრო გაჭინურებულიყო დრო“ და მერქე მოინდომა მარიომ დედისათვის კუპატები ეყიდნა, „საწყალი, შინ დარჩა და ნაყინვი არ უჭამია“. თითონვე უნდოდა თითო გაეყარა კანაფში და ტორხაკი ისე წაელო.

— მამილო, მიუბრუნდა მარიო მამას, — მე რომ დიდი გიქმნები, შემეძლება ყოველ დღე ვჭამო ნაყინვი?

— მუცელი აგტეკივა, ბიჭუნია, მუცელი.

— არა, მმა, არ ამტკივა. იცი, მე მინდა „კირასირი“ ვიყო.

— მერე ეგრე პატარა რომ იყვე, ჩემო ლამაზო?

— ბევრი მაჭამე, მამილო, და გავმაღლდები, გავსქელდები. პა-

ტარა რომ ვიყვე, „კირასირად“ არ მიმიღებენ.

მაღაზის დიდი ფინჯარი სახე იყო სათამაშოებით. მარიომ თვალები დააცეცა. პირი ნახევრად გაელო და გაბრწყინვებული თვა-ლით შესცეკროდა, თან მამას მაგრად უქერდა ხელს ხელზე, თით-ქოს ამით უნდოდა გადაცეცა იმისათვის თვისი იღუმალი სურვილი. პატარა სახეზე სიყვითლემ გადაჭრა, ალერსიანი თვალი კი ისე მი-აძყრო მამას, რომ მან თავი ველარ შეიკავა და მაღაზიაში შეიყვანა ბავშვი.

— როგორ მიხარიან, როგორ მიხარიან, რომ ეს სოფელი მი-ჟიდე, — ეუბნებოდა მარიო მამას, როცა ეტლში სხდებოდნენ. სულ ჟამდენი სახლია ნეტა?

— თითქმის იცი იქმნება.

— თუ იცი იქმნება, მაშინ ოცჯერ პატარა კოცნას გაზუქებ, ხოლო თუ კოშეიც იქმნება, მაშინ ერთ დიდ, დიდ კოცნასაც მო-გიძლენი! ძალიან მიხარიან განა, შინ ვითამაშებ ამით. პარასკევს დედამ ხის „სერსო“\*) და რეზინის ბურთი მიყიდა. აბა ერთი რად მინდა „სერსო“ და ბურთი? ავეჯა აფუჭებენ მხოლოდ და სარკეც შეიძლება გავტეხო.

ფინჩიოზე გამოგადგება ისინი, ჩემო გონიერო.

— არა, არა, ფინჩიოზე კი არა პამფილეს ბალისათვის „მინ-და. პარასკევს ვიყავით იქ მე და დედა. „კარეტაში“ ჯდომა მომ-წყინდა, მაგრამ დედამ მითხრა — როცა მივათო, მაშინ გამოვიდოთ.

— შენ „კარეტაში“ კვლავ არა მჯდარხარ?

— არა, მამილო.

— მერე, ბალში ითამაშე „სერსოთი“ და ბურთით?

— ვითამაშე მაშ, მანამ დედა რიკარდოს ელაპარაკებოდა.

— ვისა? რიკარდოს?

— ჰო, მამა, რიკარდოს.

— მერე ის რიკარდო რას აკეთებდა?

— სერსობდა, რა უნდა გაეკეთებინა. ჯერ იმათოთ ვიყავი, შეგრამ ყურს არ მათხოვებდნენ და წინ, გავიქეცი ჩემი ბურთიანად, მანამ ის მეორე ხეივანში არ გადამიგორდა. ბურთს უკან გამოვუ-დექი და დედა თვალიდან გადამეფარა. გზა რომ დამქარგოდა, მა-შილო, მგლები შემჭამდნენ არა?

— ჰო... ვგონებ. მერე... დედა რა იქმნა?

— „კარეტასთან“ წამოვეწიე, მე მიციდა.

— რამდენი ხნის შემდევ წამოეწიე, მარიო?

— ესე, ხუთი წუთის შემდევ.

\*) სათმაშოა.

— ძალიან მალეა, მალე.

— მალეა და ხუთი სათის შემდეგ, ახლა? დედა გამიჯავრდა-და მე ტირილი დაიგიწე. სულ ბურთის ბრალი იყო და ის ბურთი-კიდეც მივტყიცე. რიკარდო ჩვენთან ერთად ჩაჯდა კარეტაში, ფარ-დები ჩამოაფარეს და ფანჯარაში ვეღარ ვიცირებოდი. „რინეთა-ზე“ ჩამოვტოით, მამილო, მაგრამ ვიდრე ჩამოვიდოდით, რიკარდომ დედას ყელში აკოცა. რად აკოცა, მამა, პა? ჩვენ ჩამოვტოით და ის კი შიგ დარჩა. კარგი, მაგრამ დედას რად ჰკოცნის ყელში, პა? ის ხომ მამა არ არის, ის ხომ არ არის მარიო! უთხარი, მამა, კვლავ აღარ აკოცოს დედას!

— ვეტყვი, შვილო, ვეტყვი, — მოქლედ მიუგო მამამ.

დედა კიბეზე იდგა, ყურს უვდებდა ფეხის ხმას, ელოდა.

— რა, მარტო ხარ, მარიო?

— მარტო, დედილო. მამამ სოფელი მიყიდა, დედიკო, და მე კი შენ კუპატები.

— თეკლე გაფიორდა. მარიო დედის წინ იდგა და ბრწყინვა-ლე თვალით შეჰყურებდა.

— რა იქნა მამა, მარიო?

— მამა წავიდა, რომ რიკარდოს უთხრას — შენ ალარ გაკო-ცოს.

— ვა, შვილო, შვილო! შეჰყვირა მან, შემოიკრა ხელი თავში-და გაიშხლართა ძირს.

სანაიძე.

## ჩვენი ნაცნობები

